# *ხელშეკრულება № 1*

№13

ქ. თბილისი 4 აპრილი 2011 წ.

ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ შპს 'ადეესი" (შემდგომში -"მიმწოდებელი") დირექტორი ვაჟა თოფურია, მეორეს მხრივ ქ. თბილისის 74-ე საჯარო სკოლა (შემდგომში "შემსყიდველი") დირექტორი მარინა ჯარმელიშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე :

## *14. ხელშეკრულების საგანი*

1.16 "მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას, მიაწოდოს "შემსყიდველს" ხელშეკრულების № 1 დანართში (ფასების ცხრილი) აღნიშნული საქონელი, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

## *2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება*

2.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების საერთო ღირებულება შეადგენს **1380 (ერთიათას სამას ოთხმოც)** ლარს, ავეჯის ტრანსპორტირების ჩათვლით.

2.2. საქონლის დასახელება, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მაჩვენებლები და საიდენტიფიკაციო მონაცემები, აგრეთვე რაოდენობა და ერთეულის ფასი, მოყვანილია №1 დანართში (ფასების ცხრილი).

2.3. ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

## *3. საქონლის მიწოდება და ანგარიშსწორების ფორმა*

3.1. "მიმწოდებელი" "შემსყიდველს" საქონელს დაუმზადებს **2011 წლის 4 აპრილიდან 2011 წლის 30 აპრილამდე** და უზრუნველყოფს მზა საქონლის ადგილზე მიტანას და მის ადგილზე მონტაჟს.

3.2. საქონლის მიწოდებად ითვლება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და სასაქონლო ზედნადების გამოწერის თარიღი.

3.3. "შემსყიდველი" ვალდებულია ანგარიშსწორება მოახდინოს საქონლის მიღებიდან სამი დღის განმავლობაში.

3.4 **გადახდის ფორმა** : ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორებით.

### *მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

4.1. "შემსყიდველი" ვალდებულია :
- აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით, მიწოდებული საქონლის ღირებულება;
- მაქსიმალური დახმარება აღმოუჩინოს "მიმწოდებელს" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში;
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით გააფორმოს საქონლის მიღება-ჩაბარების აქტი;

4.2. "შემსყიდველს" უფლება აქვს :
- სრული კონტროლი განახორციელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულებაზე;

4.3. "მიმწოდებელი" ვალდებულია :
- მკაცრად დაიცვას აღნიშნული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და მისი დარღვევის შემთხვევაში სრულად აგოს პასუხი, მოქმედი კანონმდებლობის და აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

4.4. "მიმწოდებელს" უფლება აქვს :
- "შემსყიდველთან" ურთიერთობაში მოითხოვოს მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვა.

### *5. სხვა პირობები*

5.1. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივეს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;
ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

5.2 "მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას საქონლის გამძლეობაზე **1 წლის** ვადით.

### *6. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები :*

| "მიმწოდებელი" | "შემსყიდველი" |
|---|---|
| შპს "ადეესი" | ქ. თბილისის 74-ე საჯარო სკოლა |
| ქ. თბილისი, ჭყონდიდელის 22 | კაკაბეთის ქ. №2 ს/კ 206150105 |
| ს/ს "საქართველოს ბანკი" ც/ფილ. | ს/ს "საქართველოს ბანკის"ც/ფილ. |
| ა/ა 1119436000 | ა/ა 0007004555 |
| დირექტორი: ვ. თოფურია | დირექტორი : მ. ჯარმელიშვილი |

4 აპრილი 2011 წ.

*დანართი № 1*
(ფასების ცხრილი)

| № | დასახელება | ზომის ერთ. | რაოდ. | ფასი | თანხა (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჭადრაკის მაგიდა 0,75X0,60X0,75 | ცალი | 15 | 46 | 690 |
| 2 | საოფისე სკამი | ცალი | 30 | 23 | 690 |
| | | | სულ : | | 1380 |

*"მიმწოდებელი"*

შპს "ადეესი"
დირექტორი :

ვ. თოფურია

*"შემსყიდველი"*

ქ. თბილისის 74-ე საჯარო სკოლის
დირექტორი :

მ. ჯარმელიშვილი